ხელშეკრულება № 141

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(გამარტივებული შესყიდვა)

ქ. თბილისი „27“ „Bn/n“ 2011წ.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო (მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №9, ტელ: 235-149, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900 სახელმწიფო ხაზინა, კოდი-220101222, სკ-204861916), შემდგომში წოდებული „შემსყიდველად“, წარმოდგენილი მინისტრის პირველი მოადგილის გიორგი ავალიანის სახით და ს.ს "სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი –ემ|გრუპ“ (მის. ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. №2, ტელ. 877-955-515, საბანკო რეკვიზიტები: ანგ.№ 592405400, სს „საქართველოს ბანკი“ ბ/კBAGAGE22, სკ-205073016) შემდგომში წოდებული „მიმწოდებლად“,წარმოდგენილი მისი გენერალური დირექტორის გიორგი თაბაგარის სახით ორივე ერთად წოდებული როგორც „მხარეები“, ვმოქმედებთ, რა საქართველოს კანონმდებლობის და „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ამავე კანონის 10^1 მუხლის მესამე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას:

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები

ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 „დღე“, „კვირა“, „თვე“ – კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 „მიმწოდებელი“ –პირი, რომელიც ახორციელებს მომსახურებას ამ ხელშეკრულების ფარგლებში.

1.6 „მომსახურება“–წინამდებარე ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ესპანელი სტუმრებისათვის ვახშამის გამართვა (10 პერსონაზე) რესტორან „პურის სახლში" (**CPV** 79992000).

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ღირებულებაა: 513 (ხუთასცამეტი) ლარი და 92 თეთრი.

3.2 ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს როგორც გასაწევი მომსახურების ღირებულებას, ასევე წინამდებარე ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებით მიმწოდებლის მიერ გაწეულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

3.3 წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება, ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

4. მხარეთა ვალდებულებები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული მომსახურება დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს;

ბ) განიხილოს შემსყიდველის პრეტენზიები და მიაწოდოს მოტივირებული პასუხი ყველა საკითხზე, აგრეთვე დაუყოვნებლივ უზრუნველყოს აღმოჩენილი ხარვეზის გამოსწორება;

გ) აუნაზღაუროს შემსყიდველს მის სტუმრებზე უხარისხოდ გაწეული მომსახურების შედეგად მიყენებული ზიანი;

დ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

4.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი;

ბ) განახორციელოს ამ ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული სხვა ვალდებულებები.

5. მომსახურების ხარისხი

განხორციელებული მომსახურების ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს დადგენილ სტანდარტებს.

6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

6.1 შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების შესრულების კონტროლი განხორციელდება ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში შემსყიდველის მოთხოვნათა შესაბამისად.

6.2 ინსპექტირებას განახორციელებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო უზრუნველყოფისა და რესურსების მართვის სამმართველოს მთავარი სპეციალისტი მიხეილ ფიცხელაური.

6.3 შემსყიდველის შესაბამისი წარმომადგენელი (წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტი) უფლებამოსილია ჩაატაროს ხარისხის კონტროლი და თუ აღმოჩნდება წუნი გაწეულ მომსახურებაში, მიმწოდებელი ვალდებულია შემსყიდველის მიერ დადგენილ გონივრულ ვადებში გამოასწოროს წუნი.

6.4 მიმწოდებელი ვალდებულია ხელი შეუწყოს შემსყიდველს ინსპექტირების განხორციელებისას.

6.5 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) ჩატარებისათვის აუცილებელი პერსონალით, ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი კონტროლის (ინსპექტირების) მიზნით გამოიყენებს საკუთარ ან მოწვეულ პერსონალს, მის შრომის ანაზღაურებას უზრუნველყოფს შემსყიდველი.

7. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

7.1 მომსახურების მიღება წარმოებს მიღება-ჩაბარების აქტის სახით. მიღება-ჩაბარების აქტი ფორმდება წერილობითი ფორმით, მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით, ინსპექტირების განმახორციელებელი პირის დადებითი დასკვნის საფუძველზე.

7.2 მომსახურების მიღებას აწარმოებს საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს ადმინისტრაციული დეპარტამენტის საორგანიზაციო უზრუნველყოფისა და რესურსების მართვის სამმართველოს უფროსი სპეციალისტი გიორგი მაისურაძე.

8. ანგარიშსწორება

8.1 ანგარიშსწორება განხორციელდება შემდეგი პირობებით:

ა) ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი;

ბ) ანგარიშსწორების ფორმა – უნაღდო, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებული მიმწოდებლის საბანკო რეკვიზიტების შესაბამისად.

8.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას გადაუხადოს მიმწოდებელს მიღებული მომსახურების ღირებულება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის წარმოდგენიდან 20 (ოცი) დღის განმავლობაში. თუკი ანგარიშსწორების განხორციელების ვადის ბოლო დღე ემთხვევა არასამუშაო დღეს, მაშინ ანგარიშსწორება განხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

9. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

9.1 თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ, რაც შეიძლება მოკლე დროში უნდა აცნობოს მეორე მხარეს მის მიერ მიღებული გადაწყვეტილება აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის გზით, ხელშეკრულების მე-11 მუხლის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

10.1 წინამდებარე ხელშეკრულების 4.1 პუქტის „ა" ქვეპუნქტში აღნიშნული დანართი №1-ით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის ვადის გადაცილების შემთხვევაში, მიმწოდებელს ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

10.2 წინამდებარე ხელშეკრულების 6.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების დარღვევის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება ერთჯერადი პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე ხელშეკრულებაში განხორციელდება წერილობით ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერით.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

12. დავების გადაწყვეტა

12.1 ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი უთანხმოება წყდება მოლაპარაკების გზით.

12.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 2 (ორი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის შესაბამისად მიმართოს საქართველოს სასამართლოს.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულების მოქმედება, თუ მეორე მხარე ვერ უზრუნველყოფს თავისი ვალდებულებების შესრულებას, ან მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ სხვა შემთხვევებში.

13.2 ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა არ ათავისუფლებს მიმწოდებელს ხელშკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისაგან.

13.3 ხელშეკრულება აგრეთვე შეიძლება შეწყდეს მხარეთა წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

14. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

15. ფორს-მაჟორი

15.1 წინამდებარე ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული მდგომარეობით.

15.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებულნი შემსყიდველის ან/და მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, და რომლებსაც გააჩნიათ წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნეს ომით ან სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით, საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.

15.3 მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება, დაუყოვნებლივ წერილობით უნდა აცნობოს მეორე მხარეს შექმნილი გარემოების და მისი სავარაუდო აღმოფხვრის ვადის შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი არ თავისუფლდება ხელშეკრულების პირობების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისგან.

16. სხვა პირობები

ხელშეკრულება შედგენილია სამი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, ქართულ ენაზე, აქედან ერთი ეგზემპლარი გადაეცემა მიმწოდებელს, ხოლო ორი – შემსყიდველს.

17. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	მიმწოდებელი
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №9, ტელეფონი: 235-149, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900, სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222, სკ-204861916.	ს.ს "სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი –ემჯრუპ" მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. №2, ტელეფონი: 877-955-515, საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №592405400, სს „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22, სკ-205073016

1. ფოთაძე

№	საქონლის დასახელება	ულუფის რაოდენობა	1 ულუფის ფასი (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	მომსახურების გაწევის დღე	მომსახურების გაწევის ადგილი
1	კალმახი ბროწეულის სოუსში	4	11.00	44.00	2011 წლის 29 მაისი	ქ.თბილისი გორგასლის ქ.№7
2	ყველი ქოთანში	1	9.00	9.00		
3	მეგრული კუპატი	2	8.50	17.00		
4	ახალი კარტოფილი	2	7.00	14.00		
5	სოკო კეცზე	2	9.00	18.00		
6	ხბოს ჩაქაფული	2	12.00	24.00		
7	მწვადი ღორის	4	9.00	36.00		
8	თონეში გამომცხვარი მჭადი	10	1.40	14.00		
9	ხაჭაპური მეგრული	2	10.00	20.00		
10	კახური შოთი	5	2.00	10.00		
11	ტყემალი	2	1.20	2.40		
12	პომიდვრის საწებელი	2	1.20	2.40		
13	სეზონური ხილის ასორტი	2	14.00	28.00		
14	ღვინო „ლალისფერი სამშვენისი"	2	34.00	68.00		
15	ჩაი „გურიელი ექსპორტი"	1	3.00	3.00		
16	ყავა ხსნადი	1	3.00	3.00		
17	აღმოსავლური ყავა	1	4.00	4.00		
18	ლიმონათი „ზანდუკელი"	8	2.00	16.00		
19	ბორჯომი	4	2.00	8.00		
20	ყველის ასორტი	2	8.50	17.00		

21	ხბოს კანჭი	2	12.00	24.00	2011 წლის 29 მაისი	ქ.თბილისი გორგასლის ქ. №7
22	წიწილა ტყემალში	2	19.50	39.00		
23	ზეთისხილი შავი	2	4.20	8.40		
24	მხალის ასორტი	2	11.50	23.00		
25	კიტრი პამიდვრის სალათი	2	7.50	15.00		
26	მომსახურება			46.72		
	სულ: 513.92 ლარი დღგ-ს ჩათვლით					

შემსყიდველი

საქართველოს სპორტისა და
ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო,
მის: ქ. თბილისი, ჩოლოყაშვილის გამზირი №9,
ტელეფონი: 235-149,
საბანკო რეკვიზიტები: ანგ. №200122900,
სახელმწიფო ხაზინა, კოდი 220101222,
სკ-204861916.

მიმწოდებელი

ს.ს "სასტუმროებისა და რესტორნების მენეჯმენტ ჯგუფი ემ|გრუპ"
მისამართი: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის ქ. №2,
ტელეფონი: 877-955-515,
საბანკო რეკვიზიტები:ანგ. №592405400,
სს „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,
სკ-205073016

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის შესახებ

2011 წლის „27" „ივნ."

ვადასტურებთ, რომ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის თანახმად საქართველოში ოფიციალური ვიზიტით მყოფი ესპანელი სტუმრებისათვის ვახშამის გამართვის (10 პერსონაზე რესტორან „პურის სახლში") მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით გასაფორმებელ ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით.

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი _____ გიორგი ავალიანი

მიღება-ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი _____ გიორგი მაისურაძე

ინსპექტირების განმახორციელებელი პირი _____ მიხეილ ფიცხელაური